

კაპიტალის საინვესტიციო-სამართლებრივი ბუნება მეწარმეთა შესახებ
კანონის ახალი რედაქციის მიხედვით სააქციო საზოგადოებისა და
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მაგალითზე

გვანცა ლომაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის
ფაკულტეტზე კერძო ბიზნეს სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნის შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით მაისურაძე, სამართლის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

გვანცა ლომაძე

19.06.2022

აბსტრაქტი

საბაზრო ეკონომიკის უწყვეტად მზარდი მაჩვენებლიდან გამომდინარე, კორპორატიული ურთიერთობები კომპლექსური ხდება, ეს კი შეუქცევადად მოითხოვს სფეროს მუდმივად ცვალებად და დინამიურ რეგულირებას. საქართველოსთვის, რომელიც გარდამავალ, გარდამტეხ და ისტორიულ ეტაპზე იმყოფება, ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამეწარმეო საზოგადოების ქვაკუთხედის, ანუ მისი კაპიტალის და შესაბამისად, აქციონერების/პარტნიორებისა და კრედიტორების დაცვის სტაბილური სამართლებრივი გარემოს შექმნა. მიმდინარე წელს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში როგორც სააქციო საზოგადოების, ასევე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მომწესრიგებელ ნორმებში რიგი ცვლილებები განხორციელდა. საკვლევ საკითხს წარმოადგენს, კაპიტალთან დაკავშირებული ცვლილებების იდენტიფიცირება და იმის დადგენა, თუ რამდენად უზრუნველყოფს ისინი ინვესტიციების მოზიდვასა და დაცვას.

საკითხის კვლევის მიზნით გამოყენებული იქნა საკანონმდებლო წყაროების ანალიზი, შედარებით–სამართლებრივი, ისტორიული და სისტემური მეთოდოლოგია, ასევე ინტერვიუები საკითხის შესაბამის კომპეტენტურ პირებთან. ზემოაღნიშნულის მეშვეობით დადგინდა, რომ რეგულირების იმპერატიულ ჩარჩოში მოექცა სააქციო საზოგადოება, ევროკავშირის დირექტივის აპროქსიმაცია განხორციელდა კაპიტალთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებით, მათ შორის, განისაზღვრა განთავსებული კაპიტალის მინიმალური ზღვარი, კაპიტალში შენატანების სახეები, ასევე რადიკალურად შეიცვალა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმები, მოხდა მისი ერთგვარი დაახლოება სააქციო საზოგადოებასთან, გაჩნდა ნებადართული, გამოშვებული და განთავსებული წილების ცნებები. თუმცა, კვლევაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ერთი მხრივ, ზემოაღნიშნული ცვლილებების ნაწილი არაეფექტური იქნება, თუ მათ სათანადოდ მომზადებული არ შეხვდებიან სამეწარმეო საზოგადოებები და მეორე მხრივ, ბუნდოვანია ზოგიერთი რეფორმის მიზანი და ამოცანა.

საკვანძო სიტყვები: სააქციო საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, მეწარმეთა შესახებ კანონის ახალი რედაქცია, განთავსებული კაპიტალი, ინვესტორთა მოზიდვა, ინვესტიციათა დაცვა

Abstract

In the conditions of the growing development of the market economy, corporate relations are becoming more and more complex, which naturally requires dynamic regulation of this field. For Georgia, which is in a transitional and historical stage at this moment, in terms of attracting investment, it is especially important to create a stable legal environment for the protection of the cornerstone of the entrepreneurial society, i.e. its capital and, consequently, interests of shareholders/partners and creditors.

Fundamental changes have been made in the Law of Georgia on Entrepreneurs in the norms of joint stock company and, limited liability company as well. Subject of research is to identify changes related to capital and to determine the extent to which the changes are made to attract and protect investment. In order to research the issue, analysis of legislative sources, comparative-legal, historical and systemic methodology was used. Through these methodology, it was established that the joint stock company was placed within the imperative framework of the regulation, the EU directive was approximated with regard to capital issues, including the establishment of a minimum share capital, the types of capital contributions, also, legal norms regulating the limited liability company have been radically changed, it has become closer to the joint stock company. The concepts of authorized, issued and placed shares emerged.

However, based on the research, it can be said that on the one hand, part of the above changes will be ineffective if companies are not properly prepared for this and on the other hand, the purpose and task of some amendments seem to be unclear.

Keywords: Joint Stock Company, Limited Liability Company, New Redaction of the Law on Entrepreneurs, Subscribed Capital, Attracting Investors, Protection of Investments